

ნაცრიონალისტი

მეორეული
გამოცემის

საქართველოს რესპუბლიკის 26 1920 წ. ნაციონალური და აზიურული მოღვაწის ჟურნალი № 22 ფასი 10 მან.

მისამართი:

ხელის მოწერა:

განცხადებანი

რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სა-
სახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის 4 № 17. ტელეფონი № 22

წლის დამლევამდე — 750 მან. (ფოსტ. ხარჯთ.)
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

მიიღება ნაწილობრივად 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით
1 გვერდი — 20 მან. 3-4 გვერდზე — 10 მან. სამკვლევარო
განცხადება 30 სტრიქონი — 100 მან.

კონსტიტუციის უფლება

საქართველოს ნაციონალური პარტიის კონსტიტუცია დასრულდა. ქართული ნაციონალური პოლიტიკის დამფუძნებელმა კრებამ ჩამოაყალიბა თავის იდეოლოგიური და პარტიული საბუთები; დღეიდან ჩვენი პარტია ყოველმხრივ დამოუკიდებელი არსებობას იწყებს; გულუხვი ხასიათი, რომელიც ჩვენს პარტიას ჰქონდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაყოფის შემდეგ, უკვე გადავიდა ფართე პარტიული, ორგანიზაციული ჩამოყალიბებულ მოძრაობაში და ქართველი ნაციონალისტი დღეიდან უფრო თამამად და გულმოდგინედ შეუდგება თავის დიდების ტანჯვით გამწვანებულ იდეალის განსხვავებას.

ჩვენი პარტიის პირველი კონსტიტუციის სახე ჩვენ გვიპოვა იმას, რომ ჩვენში ნაციონალიზმა უკვე გაიარა ერთგვარი სკოლა და პარტიულ დისციპლინას უკვე ჩაიყარა მაგარი საძირკველი რომელიმე დღეს და ამდღეს ახალი მოღვაწე ნაციონალისტი.

ჩვენს ქვეყანას აქვს დიდი და სახილოვანი წარსული; ჩვენს ერს აქვს თავის ისტორიული ინდივიდუალურობა და ცივილიზაციური თავისებურება.

ჩვენ იდეალური მუდამ იყო ამ ისტორიული ინდივიდუალურობისა და ცივილიზაციური თავისებურების განახლება, კვლავ იყო ჩვენი ყოველთვის წინააღმდეგ ვიყავით რომანტიზმისა პოლიტიკაში და დღესაც წინააღმდეგ ვართ; ჩვენ არსადღეს არ გვექონია ოცნებაში საქართველოს წარსულის ინტერვალური განმეორება და ყოველთვის ვმუშაობდით რეალური პოლიტიკის თვალთახედვით ისტორიულ-აზიურულ სახეცვლილებასთან შეფარდებით.

ჩვენ ვიცით, რომ წარსულში ჩვენს ეროვნულ კულტურას ჰქონდა დიდი ნაკლი: ეს იყო პროვინციალიზმი, რომელიც ახრიალებდა საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს ერს და ეროვნულ სახელმწიფოებრივობას, რომელიც დროგამოშვებით არღვევდა ჩვენი ნაციონალური ნებისყოფის მიძლიერეს და სიმკაცრეს.

სოც. დემოკრატია საქართველო შეაერთა გარკვეულად, მექანიკურად მხოლოდ დროებით, სანამდი საქართველოს გლეხობას ეყოფა მოთმენა პოლიტიკური ატასა და სოციალიზმის საშინელების. მაგრამ მოთმენას საზღვარი ედებოდა: საქართველოს გლეხობა თხოულობს თავის ადგილს ეროვნულ სახელმწიფოში.

ნაციონალური პარტიის კონსტიტუციამ დასწრე დაინახავდა სასიხარულო სურათს, აქ იყო გლეხობა საქართველოს

თითქმის ყოველი კუთხიდან: დიხჯი და ბრძენი ჯავახელი, სულით მაგარი ბიორჩალოელი, ჩვენი ისტორიული შაჰნაის კახეთის წარმომადგენელი, საუკუნეთა ქირსა და ვარძში ამოგანგულად ქართლელი მასრი და ენადახელი იმერელი. მრავალი ტანჯულ სამაჰადიანო საქართველოს ს. მშატიური სახე, სამეგრელო და გურია.

ქართველი ნაციონალისტი დარწმუნდა, რომ საქართველო აგრძელებს — მთლიანად, ძლიერ და მრავალ ტანჯული საქართველო იკრებება თავის სისხლით აფერადებულ და სახელოვან გმირთა ძეგლებით მოკვნილ მიწა-წყალზე.

საქართველოს ნაციონალური პარტია თანდათანობით გაშლის თავის იდეოლოგიური სახიერ ბას: შეიარაღებული საკუთარი გამოცდილებით, ისტორიისა და ცხოვრების ლოგიკით, აღფრთოვანებული ნაციონალური მთლიანობის იდეით კერძო საკუთრებისა და სოციალური ინტერესების დამკვიდრებული პარტია ებრძვის როგორც პროლეტარებსა და სოციალიზმის დონკიხოტებს ისე მათი უკან უშინოდ და უბრინცობოდ მოხეტიალე, სპექულიაციის მოჩვენებაში ჩაძირულ საწირო პანჩიებს.

საქართველოს ნაციონალური პარტია იბრძვის საქართველოს ორგანულ მთლიანობის განსამტკიცებლად კერძო საკუთრებისა და მეურნეობის აყვავების იდეებით გამსჭვალული.

კ. კახანიელი.

სოცალიზმი და სახელმწიფო

კარგად მოწყობილი სკოლა კარგი და კულტურული სახელმწიფოს საძირკველია: სახელმწიფოებრივი აპარატების მუშაობა რიგიანი და წესიერი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მოქალაქე ახალგაზდობიდანვე სკოლაში ითვისებს იმას, რაც მისთვის საჭიროა და აუცილებელი სახელმწიფოსა და საზოგადოების სასახურისათვის მომავალში.

სკოლაში მუშავდება ადამიანობისა და მოქალაქეობის ნებისყოფა; სკოლა იძლევა ენერჯის და სახე ეროვნულ კულტურისას. სახელმწიფოს ადმინისტრაციული და პოლიტიკური ნივთი იწვევს თანება პირველად სკოლაში.

სკოლისა და სახელმწიფოს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი: სახელმწიფო იარსებებს მხოლოდ მაშინ, თუ სკოლა მუშაობს ეროვნულ კულტურის მიმდინარეობასთან შეფარდებით.

თუ სკოლა არის მოწყობილი სახელმწიფოსა და ერის ინტერესების მიხედვით.

ჩვენ ამ შემთხვევაში სახეში არა გვაქვს ზნეობრივი დაღება ჩვენი სკოლის; მოწაფეთა პარტიულ კლუბები, საგანგებო რაზმებში სამსახური, „ობრანკები“ ორგანიზაცია და სხვა... ეს ყველაფერი ბუნებრივი შედეგია ჩვენი საზოგადოებრივი რღვევის და სოციალისტური აშლილობის და ამ შემთხვევაში მოვლენასთან ერთად ჩვენი განათლების საშინესტრო ხელს უწყობს მეცნიერებს პროფანციას და განათლების გამახარავებს: დღეს საქართველოში 80 მეტი საშუალო სასწავლებელია; ჩვენში დღეს არ არის ისეთი დაბა, სადაც გიმნაზია არ იყოს გახსნილი: მარტვილი, სენაკი, ხონი, კულაში, ვანი, სამტრედია, აბაშა, ზესტაფონი გიმნაზიებისა მოფენილი. ქუთაისში ამ პატარა ქალაქში 16 გიმნაზიაა. რა უნდა ვთქვათ საქართველოში ამდენ გიმნაზიებსა? საქართველო თუ არა მათა პრესობა? ან რა სახისა ეს გიმნაზიები?

მთავრობა, რომელიც ყოველთვის აღაშფოთებს უხანას ამ გიმნაზიებს ვაღიღებელია თუ არა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რასთვის იხარჯება სახელმწიფოს ფას ქონება?

საშუალოდ რომ ვიანგაოშოთ, მთავრობას ყოველთვის უნდა ნახევარ მილიონი მან. უჯდება თითო გიმნაზიის შენახვა. მართალია ზოგ ალოგას გიმნაზიას იხანავს საზოგადოება, მაგრამ ეს ხომ მაინც ხალხის და სახელმწიფოს ხარჯია? პროვინციის გიმნაზიებში არ არის მასწავლებლობა, არ იმუშავებ სახელმძღვანელო, სრულებით არ არის მოგვარებული ბიბლიოთეკები. გიმნაზია მაინც მოღვაწეობს: ხსნიან და ხსნიან გიმნაზიებს, მთავრობა ხელს არ უშლის.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ: რა საჭიროა გიმნაზია ჯინაიში? რა სარგებლობა უნდა მოუტანოს გიმნაზიამ აბაშას ან ვანს, ან მარტვილს?

რას აკეთებს 16 გიმნაზია ქუთაისში? ჩვენ ვიცით, რომ ევროპის დიდ ქალაქებში ერთი, იშვიათად ორი გიმნაზია თუ მოიპოვება: მაგალითად ქალაქ ნანსში. რომელიც პარისს შემდეგ უწველეს და უდიდესი ქალაქია საფრანგეთში, არის მხოლოდ ორი გიმნაზია ორი, როგორც ფრანგები ეძახიან, ლოკი: ქალთა ლოკი და ვაჟთა ლოკი. ქალაქ ქუთაისში, რომელიც მეტოქობით და სივრცით ნანსის მედევს არ წარმოადგენს, არსებობს 16 გიმნაზია.

რა საჭიროა ან რა კეთდება ამ გიმნაზიებში? რა სარგებლობას მოუტანს ის ხალხი საქართველოს, რომელიც ამ გიმნაზიებიდან გამოვა? რად ესაჭიროება ჩვენს თანა პარტია ერს ამდენი ერთი

ტარის სასწავლებელი? ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი კოსიკური ცოდნის გავრცელებისა, მაგრამ ჩვენი ეროვნული ცხოვრებასაჭიროებს კლასიკურად ერთა და სხვა სახის ცოდნასაც.

დამკვირვებ

ამერიკის ეკონომიური მდგომარეობა

ლონდონი. „ტაიპი“ ამერიკის ეკონომიურ მდგომარეობას საგანგებოდ წერილობით უძღვნის. გაზეთი სწერს: მეტად საგრძნობი ვახდა ომის შედეგები. მრეწველობას არ ძალუქ ომის წინეთ არსებულ კალაპორტში ჩაუვარდა. სიმკარე ნახშირისა, მანქანებისა, რკ. გზ. ტრანსპორტის დაშლა და ხშირი გაფიცვები ცხოვრებას თანდათან ავიკრებს. ამ სიძვირესთან მთავრობას ბრძოლა მეტად უძნელდება. მუშებსა და მრეწველობს შორის დაწყებულ შეთანხმებას ხელი შეუშალა მთავრობის ჩრველი „ტაიპი“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შეერთებულ შტატებში ეკონომიური მდგომარეობა ანარქიის ჭაბუკდება. შრომის გენერალური ფედერაცია უარს აცხადებს საარჩევნო კომანაში მონაწილეობის მიღებაზე. მუშათა პარტიის უკიდურესი წრეები, რომელნიც უმთავრესად უცხოელებისაგან შესდგება, ტერორისტულ ტენდენციებს იჩენს მუშათა სასოფლო-სამეურნეო პარტიამ, რომელიც სახელმწიფოებრივ სოციალიზმის მომხრეა, პრეზიდენტის კანდიდატად შეედი ხოსტენსი. წამოაყენა.

დანცივის საკითხი

ელჩთა კონსტიტუციამ, რომელიც შაბათს ქუჩის კამბორის თავმჯდომარეობით შეიკრიბა, ამდენს რომ პოლიციით უარს აცხადებს კონსტიტუციის მიერ შემოწმებულ კონსტიტუციას, რომელიც პოლიციისა და თავისუფალ ქალაქ დანცივის დამოკიდებულების მოწესრიგებას შეეხება. კონსტიტუციამ, გადასწყვიტა შაბათს დღისით მოიწვიოს მოკავშირეთა კომისია დანცივის საკითხის გამოსარკვევად.

საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო შეთანხმება

ხელის მოწერას გამო ბელგიის მთავარი შტაბის უფროსი ბოიოსელიდან გაემგზავრა პარიზს, რომელიც წინასწარ გადასცეს პირველი ხარისხის სამხედრო ჯვარი. იგი საჩუქარს გადასცემს აგრეთვე საფრანგეთის შტაბის უფროსს, დივიზიის გენერალს ბიუსს და გენ. ვეიგანს. ეს

ჯილდოების გამოგზავნილია ბელგიის ფის მიერ.

ინგლისური გერმანულ სკოლებში

პოლოში ახალი ენების შესწავლის კონგრესმა გამოიტანა რეზოლუცია, რომ გერმანულ სკოლებში ინგლისური ენა გაუთანაწირონ ფრანგულს, რომელსაც უპირატესობა ეძლევა.

მიუხედავად პარიზის უკმაყოფილებასა, იტალიის ყოფილი მინისტრი ნიტტი ვერსალის ხელშეკრულების გასასინჯავად კომპანიას აკრძალავს. პრესა ისევ აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების შეუძლებელი პირობები ყოველგვარ მუშაობის სურვილს ართმევს გერმანიის ხალხს, რომელსაც აღარ აქვს სასამართლო და ახალშენები. ნიტტი ამბობს: გამარჯვებულთა ასეთი მდგომარეობა არა სასურველ მოქმედება-გავლენას იქონიებს თვით გამარჯვებულებზე.

ანტანტის კომისიამ ვენაში კონფისკაცია უყუ საპ. გერმანიის პროპონს რომელითაც მიუხედავად და ვენას შორის საფოსტო დამოკიდებულებას დამყარება მიანდეს. კომისიამ განაცხადა, რომ საზავო ხელშეკრულებას ავსტრიისათვის საპირო დამოკიდებულების უფლების მინიჭება შეუძლიან მხოლოდ ანტანტს, ამ შემთხვევაში კი ეს პირობა არ იყო შესრულებული. ამის გამო გერმანიის საპირო საზოგადოებამ პროტესტი განაცხადა.

საფრანგეთის ნახშირი.

გერმანული პრესა უარყოფს საფრანგეთის ვაჭრების ცნობას იმის შესახებ, რომ საფრანგეთს ცოტა ნახშირი მოხდის. და ვაჭრებს მოყვით საფრანგეთის ლე-გროვის განცხადება, რომელიც მოთავსებული იყო პარიზში. დეტროკეს ახრით საფრანგეთის რკინის გზები იმდენსაც ნახშირს იღებენ ვხლა რამდენსაც რკინის დაწყებამდის. ე. ი. 800000 ტონს. ვაჭრის ქარხნებს მოწოდეს 900.000 ტონი ნახშირი (დამახინჯებული).

სავინკოვის წერილი ვრანგელისადმი.

პარიზი. „ომზე დღეს“ მოუავს სავინკოვის წერილი ვრანგელისადმი. სავინკოვი აღნიშნავს, რომ რუსეთის ჯარმა, რომელსაც სათავეში უდგას ვრანგელი, შინაურ პოლიტიკაში უნდა იხელმძღვანელოს რადიკალურ დემოკრატიული პროგრამით და მცირე ერთა უფლებას პატივი უნდა სცეს. სავინკოვი თავის წერილში იმედს გამოსთქვამს, რომ ვრანგელი ვაითვალისწინებს რა წარსულის შეცდომებს, აღარ წავა დენიკინის გზით. უნდა შეიქნეს რუსეთი, რომლის სათავეში იქნება დამფუძნებელი კრება და სადაც კანონის წინაშე ყველა თანასწორად იქნება. დენიკინი დამარცხდა არა შოლშევიკების ძალთა უპირატესობამ, არამედ თავისავე უმჯერო სისტემამ. მაშინ, როდესაც დენიკინი მოსკოვს დაუახლოვდა, მის ხურგში სასტიკად მოქმედებდა პოლიცია. უნდა გვახსოვდეს, რომ ძველი რუსეთი მოკვდა და რომ რუსეთი უნდა აღსდგეს ახალ ფედერატიულ ნიდაგზე. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ვეკონდეს რწმენა იმისა, ასრულებს სავინკოვი თავის წერილს, — რომ რუსეთის ჯარი შეიქმნება რუსეთის თავის-უფლებისა და სამართლიანობის მატარებელი.

ნავთი მექსიკაში.

პარიზი. მექსიკაში, — მონკლოვის და ლინარესის რაიონებში ნავთის ახალი წყაროები აღმოაჩინეს. ამის გამო შესაძლებელია, რომ მექსიკა ერთ უმდიდრეს ქვეყანად გადაიქცეს.

საფრანგეთის ეროვნულ თავდაცვის საბჭოს სხდომა

სამხედრო მინისტრის მოთხოვნით პრეზიდენტმა ეროვნულ თავდაცვის უმაღლესი საბჭო ათხმადათისათვის მოიწვია. სხდომა შესდგება ელისეს სასახლეში მილიტარის თავჯდომარეობით მონაწილეობას მიიღებენ: სამხედრო საზღვაო და ფინანსთა მინისტრები და შტაბების უფროსები და მარშლები. იმჯერებენ სამხედრო სამსახურის ვადის შესახებ, სხდომაზე შემუშავებული პროექტს ამის შემდეგ განიხილავს ორთვე პალატა.

რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც აქამდე ვერსალში თავის ვილაში სცხოვრობდა საცხოვრებლად ელისეს სასახლეში გადავიდა.

ინგლისის მალაროებში მომუშავეთა გაფიცვა.

გაფიცვის შესახებ იტობა თავიდან აცალკეულია. მალაროებში მომუშავეებმა მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყეს. ლოიდ ჯორჯი ამ საქმეს იმედინად უყურებს.

ჯარებმა მიიღო პრძანება საპუბლიცისტო ზონის დატოვების შესახებ.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პარიზში მოხსენებას გააკეთებს მცირე ანტანტის შესახებ.

შვეციაში

შვეციაში ბრანტიგის კაბინეტი გადადგომას აპირებს.

ფრაკიაში

საბერძნეთის მთავრობა შეუდგა ფრაკიაში ძველი გზების შეკეთებასა და ახალი გზების გაყვანას. გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს ოსმალებისა და ბულგარელების მიერ განადგურებულ ოლქების აღსადგენათ. შავ ზღვაზე დღეღამის და მიდიის ნავთსადგურების გასაფართოვებლად ზომებს იღებენ.

სომხეთ-ოსმალეთის შეტაკების გამო

სტამბოლის გაზეთი „აეიამ საბასი“ ეხება სომხეთ-ოსმალეთის შეტაკებას და სწერს: ჩვენ მივმართეთ ყოველგვარ ავანტიურას, რაც სასოწარკვეთილებით სრულდებოდა. მიუხედავად წარსულის გაკვეთილისა ბეგრს კაყოფილებას გერის ყარსზე თავდასხმა. ჩვენ რომ ფიზიკად ვიცქირებოდეთ დაინახავდით რომ დაღუპვის კარზე ვართ მისული. ჩვენი მოქმედება ჩვენ არა მარტო სომხეთსა და საქართველოს წაგვკადებს, არამედ წაგვკადებს მათ მთარველ სახელმწიფოებსაც.

საბერძნეთის პრესა სომხეთისადმი თანაგრძობის წერილებს ათავსებს ოსმალეთის თავდასხმის გამო.

აჯანყება ანატოლიაში

სმირნიდან იუწყებიან, რომ დასავლეთ ანატოლიაში გლეხები ქემალისტებს აუჯანყდნ და ეს აჯანყება საშიშ სახეს ღებულობს. გლეხთა დელოგაცია საბერძნეთს ქემალისტებიდან დახსნასა სთხოვს. აჯანყება მოხდა მრავალ სოფელში. ადგილი ქონდა აგრეთვე შეტაკებასა და სოფლების განადგურებასაც.

ოსმალეთი და საბერძნეთი

გაზეთი „ალენგარი“ ვენელოსის უკანასკნელი განცხადების შესახებ სწერს: ჩვენ უნდა ვსცდილობდეთ ოსმალეთისა და საბერძნეთის დაახლოვებას მიუხედავად საზღვრების გაფართოებისა. ჩვენ დიდის მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ რომ ვენელოსის გამარჯვება ანახა ოსმალეთს მრავალი უბედურება, ამაში დამნაშავე ვართ ჩვენ და დამნაშავე ჩვენი პოლიტიკა.

ოსმალეთის ლაშკარი.

ოსმალური ვაჭრები იძლევიან ცნობებს მომავალ ოსმალეთის ლაშკარის შესახებ რომლის შესაქმნელად ანტანტმა თანხმობა გამოსთქვა.

საზავო ხელშეკრულობით ოსმალეთის ლაშკარისათვის.

განზარბულია კონტაგენტი 15.000 კაცი. კონსტანტინეპოლის მთავრობამ უკვე შეაშალა ამ ლაშკარის ორგანიზაციის პროექტი, რომელიც გაყოფილ იქნება ხუთ საარქიო კორპუსებად, თითოეული 3.000 შ.მადგენლობით ორი დივიზიით 1.500 კაცი თითოში.

ლივიზია გაყოფა სამ პოლკად, თითოში 250 კაცი. უკანასკნელი გაყოფებიან რა უბნად 80 და 100 ჯარისკაცის შემადგენლებით. ამ ლაშკარის კადრის შეადგენს 845 აფიცერი რომელთაგან 45 მარშალია, გენერალი და პოლკოვნიკი, 100 პოდპოლკოვნიკი და მიორა, ხოლო დანარჩენები კაპიტანები, პორუჩიკები, პოდპორუჩიკები და ოპერაფიცრები.

კომპლექტს გარეშე აფიცრები და უყონებლივ იქნება დათხოვნილები.

ქრონიკა.

მთავარი კომიტეტის კრება.

ახლად არჩეულ მთავარი კომიტეტის პირველი სხდომა შესდგება სამშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს 7 საათ (წყნეთის ქ. № 17). ეს ცნობა უწყების მაგერია.

მთავრობაში.

მთავრობამ ოქტომბრის 19 სხდომაზე სახალხო განათლების მინისტრის მოხსენების თანხმად დაადგინა: განათლების უწყების მოსამსახურებმა ნორმის ზევით მუშაობისათვის მიიღონ დამატებითი ჯილდო არსებულ დეკრეტების თანხმად.

— მთავრობამ მოიწონა დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებისადვის კრედიტის გადილების შესახებ და დაადგინა ის დეკრეტი დამფუძნებელ კრებას გადაეცეს.

ავიაცია

სამხედრო მინისტრის ახანაგ ოდიშელიძის ნებართვით მოიწყობა თბილისიდან ბათუში გადაფრენა ახლად ჩამოტანილ ჰაერობლანების ღირსების შესამოწმებლად. ფრენა მოხდება ასეთი პარპრუტით: თბილის-ქუთაის-ბათუმი. მფრინავის გამოანგარიშებით აპარატების ესკადრილია თბილისიდან გაფრენის შემდეგ ქუთაისში გამოჩნდება 40—50 წამის შე

რეანი პარტიის კონფერენცია
კონფერენცია ნაციონალური პარტიისა დასრულდა კვირას, 24 ოქტომბერს. მკრძნელი უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქმნა მთავარი კომიტეტი შემდეგ პირობადან:

- გ. ვეშაველი, შ. ქარუმიძე, დ. ვაჩნაძე, მ. მისნელი, ნ. მაღალაშვილი, რ. გაბაშვილი, დ. ჯაფარიშვილი, გ. ამირჯიბი, გ. წინამძღვარიშვილი, ი. ციციშვილი, კ. სვიმონიშვილი ა. ახნაურიშვილი.

მთავარ კომიტეტის წევრებად ითვლებიან ამასთანავე წარმომადგენლები სსპსრო ორგანიზაციებისა:

- თბილისის — გ. ლეონიძე.
- ქუთაისის — ბ. კანანელი და ნ. ლორთქიფანიძე.
- მორაზნის — ბ. კვლეჩვერიძე და თ. ქუთაიშვილი.
- დანარჩენ სსპსრო ორგანიზაციების წარმომადგენელ — წევრთა სია დამატებით გამოცხადდება.

ანგარიშები კონფერენციის დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

მდგ. აპარატები ქუთაისს გარს შეადგენიან და შემდეგ ბათუმისაკენ გაფრენდებიან. ბათუმში გადაფრენას 1 ნახსათს მოუწდება, მფრინავები თან წარლებენ თბილისიდან ბათუმს გასაგზავნ ფოსტას.

საქონლის შემოტანა

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ დაასრულა ვადახილვა იმ საქონელთა სიისა, რომელთა შემოტანა და გატანაც უნდა აიკრძალოს.

მიწად მოქმედების სამინისტროში

მიწად მოქმედების მინისტრმა შემდეგი დეკრეტი მიიღო: აფხაზეთის მცხოვრებ ეებს ესმოდათ დიდი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და ისინი დიდი ხანია სცდილობდნენ გაეხსნათ აფხაზეთში აგრარომიული სასწავლებელი. მცხოვრებთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები გვთხოვენ გადმოგვცეთ გულწრფელი მადლობა აფხაზეთში აგრარომიულ სასწავლებლის გახსნის გამო. მცხოვრებლები გთხოვენ არ დაივიწყოთ ღამაში მაგრამ ღარიბი აფხაზეთი.

ცეკავშირში

სახელმწიფო ბანკმა გაუხსნა ცეკავშირს ათი მილიონიანი სესხი თამასუქების უზრუნველყოფით.

ცეკავშირმა შეიძინა სააქციონერო სახე — ება „ჩემოსავან“ 600,000 ფუთამდე შავი ქვა გერმანიაში გასატანად. ხელშეკრულება გასატანად ორ თვეში.

როგორც იტყობინება ცეკავშირის რწმუნებული დიდბრიტანეთის კოლონიათა კენტრთან, ან. გუგუშვილი, იგი აწარმოებს მოლაპარაკებას ამ კენტრთან

საქართველოში ინგლისის კოპრაციის წარმომადგენლის გამოგზავნის შესახებ. ცეკვეშირმა შეიძინა ვალაქი და ამხ—ბისაგან იტალიიდან მოსული ფართულელობა, ძაფი და ტყავი—სულ 70 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

კორეისკონფანსია

თბილისის მაზრიდან

ივრის ხეობა

სიმინდები მოიჭრა და მოიზიდა მინდვრებიდან, ხალხის პოლოდინს ბევრით გადაჭარბა ესეთი დიდი და კარგი მოსავალი სიმინდისა ჯირ არ ყოფილა, არაფის ახსოვს. სასიმინდოები, კარ მიდამოები სავსეა სიმინდის გორებით.

მარტო სოფ. გიორგიშინდან, თავის საჭიროების გარეშე, შეუძლიან დამშუფლ ქ. თბილისის მიმართ არა ნაკლები 15,000 ჟ. სიმინდის მოსავალს ხელი შეუწყოს წლებიდანდღმა გამუდმებულმა წვიმებმა. თუმცა პურის (ხორბლის) მოსავალი სეტყვამ განადგურა და თავგმა მოჭრა, მაგრამ სიმინდი ისე ბლომათ მოვიდა, რომ სოფლები: მანავი, თახლიაური, გიორგიშინდა, სავაჯო, ნინოწმინდა და ახლები უზრუნველ ყოფილი არიან საკვების მხრით. უჯარმა, სართიქალა და მატარებელი იოლად წავლენ პური და ხალხს თესვებით (ქერი), მხოლოდ სოფ. ხაშის, სადაც სიმინდის თესვას მცირედ მისდევენ, მოუნდება მეზობელ სოფლებიდან სიმინდის სყიდვა, რაც სიმინდი მოვიდა ჩვენ ხეობაში, შეიძლება ორ-სულ მეტი მოგვეყვანა, რომ აქ იყოს შეიძლებული ახალი წესით მწკრივით და თესვა და ცხენის თოხით გათონა. ბევრი საქმის გაკეთება შეუძლიან ჩვენში ანვითარებულ საქმის მოყვარულ აგრონომს! სწორედ ეხლა. ამ პურის კრიზისის დროს საქირიანი არიან. იგინი საქართველოსათვის, ჩვენს მთავრობის შესარცხვენად ჩვენი საუკეთესო აგრონომები ვანდენილინი არიან, იგინი მუშაობენ ინსტრუქტორებათ კოპრაციებში და სხვა დაგებში.

რადგანაც გზები შეკრული იყო, ჩვენი მთავრობის წყალობით, ხორბლის მოწოდებით ჩვენს ხეობაში ბევრი აწეული დარჩა დაუფარცხავი და დაუთესავი ღვინის მოსავალი ჩვენს მხარეში დიერ მცირე იყო. ადრევე დაკრიფა მანაზები და ღვინოები ვადადებულ იქნა, 1 ოქტომბერს ქაჯა-თხლე დაზადებული გვჭონდა. არცის გამოსახდელად და მესამე კვირა არის აქციზის ნახელეს მწყურებთ, რომ ქვაბები აგვისნას, ნილოზის „რეიმის“ დროის მეტის მედ უვარგისი წესები სააქციზო გამგეობამ. არ ოქმნა, არ შეცვალა. რათ უნდა იყოს ისე დაყენებული საქმე, რომ მთელი ხეობა ელოდებოდეს აქციზის მოხელის, აცა როდის ახსნას დაბეჭდილი ქვაბი და ამ ღიოდინში უნდა ფუქდებოდეს მდენიმე ათი თუმნის გამოსახდელი საბეჭდილი?

ლუჯათის მაზრიდან

ხაზის თაგის ერობა

დღევანდელ ჩვენ ერობას ხაზინიდან ჯამაგირები არ ეძლევა და განუსაზღვრელი, სრული უფლება აქვს მინიჭებული მთავრობისაგან. ასეთ ვხაზედ დამდარი ერობები ერთ თავად იმის ფიქრებში არიან რა წყაროები გამოძებნონ რომ ჯამაგირები გაინადლონ. თავისი მოვალეობა—ხალხის მოვლა პატრონობა აზრდაც აღარ მოსდით.

დღეს ნამდვილ მახინციებში ერობები აფათურებენ ხელებს. ოღონდ გამოსავლელი რამე გამოძებნონ და ამისთვის არც მოტყუილებას ერიდებიან, არც უარის თქმას.

დავასახელებ ხევის თემის ერობიდან ორიოდ მაგალითს: მოხვეთათვის სულ გარეშე პირებმა იშუამდგომლეს და კავკავიდან ჯარებისთვის მოტანილ სიმინდიდან ყაზბეგის საწყობიდან რამდენი მე ათასი ფუთი სიმინდი დაათმობინეს ხალხისთვის ღირებულ ფასებში.

გაკეთებულ საქმეს ხელად ხევის ერობის გამგეობა წაებოტინა სამხედრო საწყობიდან სიმინდები თითონ მიიღეს და ხალხხედ დარიგება იწყეს. პირველ დღეს სიმინდი ხალხხედ ნაყიდ ფასებში გაუშვეს 28 თუმნად ფუთი, სასწორის ცალკე.

მეორე დღეს 30 თუმნად ფუთი, მესამე დღის 35 თუმნად და როგორც ამბობენ ვინც ბოლოს წაიღო 40 თუმანი გადაახდევინეს ფუთშიო, სასწორის ქარა სხვა.

როცა ერობის გამგეობას ყოველდღიური ფასების მომატების მიზეზი ჰქითხის სიმინდზე ასეთა პასუხი იყო: სიმინდი ყოველ დღე იზრდება და ჩვენც მითით ფასებს უმატებთო.

გორში მიწის ძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ რამოდენიმე პატრონანმა პირმა თავის თავზე შეწუხება მიიღო და ხევი 137122 მანეთი შეკრიბა, ამ ფულში ქართული იყო 16508 მანეთი, დონის 115576 მან. კერენსკი 4765 მ. და ნიკოლოზის 273 მანეთი. ფულის შეკრება რომ დასრულდა ამასაც ერობის გამგეობის თავმჯდომარე დ. ლუდუშაური წაებოტინა და ამ პატიოსან მოღვაწეს 18 აპრილს პორთფელი ჩამოაღება და უთხრა მე უნდა გავგზავნო სადაც ჯერ არსო. მას აქეთ შეექცევა თვე და თავმჯდომარეს ეს ფული ჯერაც არ გადაუცია, ქეიფობს დალუბულ გორელების ფულით.

ამხანაგობა „მწყემის“ გამგეობისეგ თავმჯდომარემ დ. ლუდუშაურმა 750000 მანეთი დასტყუა წასულ მისში, პირობა დაუწერა რომ 1500 ფუთი ძველი მატყლი აქვს და შემოსხენებულ ფულში მისცემს, ვადა თბილისში მატყლის ჩაბარებისა ორი კვირა დანიშნეს— მას აქეთ მესუთე თვე მიღის აღარც მატყლს აბარებს აღარც ფულს უბრუნებს. თურმე მას არაფერი მატყლი არა ჰქონია და ფული ჩამოუტყუილებია. ამაზე მეტი შანტაჟისტობა განა შეიძლება! ბ-ნი ლუდუშაური ამით არა კმაყოფილები!

ფილება და ეხლა ცდილობს მთლად ხევის მეცხვარების მატყლი ხელში როგორმე ჩაიგდოს, თავივების ასახვევად ცოტ-ცოტა ბეები დაურიგოს, მატყლები მიიწონოს და მერე მეცხვარების საჩივრისგან აღარ ეშინიან. ბეების დასარიგებლად სესხად ფულს ჰპირდება ლუშეთის მაზრის ერობა, იმ პირობით რასაკვირველია, რომ მაზრის ერობამაც ისარგებლოს. ამგვარად გამოდის უნდა ისარგებლოს თემის ერობამ და მაზრისამაც, ზარალობს მხოლოდ ცხვრის პატრონი. მატყლი რამდენიც მეტის ხელში გაივლის იმდენი მეცხვარები ზარალდებენ.

ეხლა შეგხედოთ მეორე მხრით საქმეს. ვინცობაა რამე უკმაყოფილება მოხდა ერობასა და მატყლის გამყიდველს შუა ანგარიშის შესახებ, მეცხვარემ ვისთან უნდა იჩივლოს? მაზრის ერობაში. მაზრის ერობა როცა ამხანაგია მატყლის სარგებლობაში თავის ამხანაგს რაში გამტყუნებს! მაზრის ერობა რომ უფროს მდებელი იყოს თემის ერობის უწესური ქცევისა განა მიწისძვრისაგან დაღუპულ ხალხის ფულის შეკმაზედ პასუხს არ მოსთხოვდეს, არ დააჯავდეს!

ი უპასუხასმგებლო უფლებებით აღჭურვა ხევის ერობის გამგეობის თავმჯდომარისა. იმის მაგიერ, რომ ხალხის შიმშილობაზედ თვითონ ეზრუნა სიმინდის გამოტანაში მზად გაკეთებულს საქმეს ისეთს ქსელში ხევის რაც პირადად მას სარგებელს მოუტანს.

იმის მაგიერ, რომ დალუბულ გორელებისთვის მიეწოდა სწრაფი დახმარება მათს ფულს თვითონ ითვისებს, თავის საუუთარ სავაჭრო საქმეებს ახმარებს, აპრილიდან ამ ფულით სარგებლობს და შემთხვევით, რომ არ გამოჩვენებულყო ამ ფულის საქმე, შესაძლებელია სულაც მითვისებას ფიქრობდა. ეხლა თუ ვინმე ვადადებულად გახდის ერობის გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ლუდუშაურს ამ ფულის გადახდაში ასეთს მანინაციას გააკეთებს: ქართულს ფულს, კერენსკის და ნიკოლოზისას გადასცვლის დონის ფულზედ ან საბჭოთა რუსეთისაზედ, რაც დაახლოვებით საერთო ჯამი გამოვა 210376 მან. აქედან რომ შეკრებული ფულის საერთო ჯამი 157122 მანეთი გადასცეს გორის დაზარალებულთ ბ. ლუდუშაურს კონომიად დარჩება კიდევ ზედ მეტი 73254 მან.

იი რაზედ ფიქრობენ დღეს ხალხის ნდობით აღვსილი ჩვენი მეთაურები, ისინი და მათი საქმეები კი ფხვებზედ აიკიდეს ვინც მათ ნდობა გამოუცხადა, ვ. ი. ხალხი.

ამის შემდეგ განა შეიძლება ითქვას, რომ თემის და მაზრის ერობა ხალხის სიკეთებზედ ზრუნავენო.

ს. შადური.

ჯარისკაცის წერილი.

ჯერ კიდევ გერმანიის ომამდე ერთი წლის ნამყოფი ჯარის კაცი ვიყავი. რუსებმა გამგზავნეს ომში გვაომეს გერმანიაში, ავსტრიაში და ოსნაღეთის ასპარეზზე. ოთხი წელი ვიყავი წვალეობაში. ჩემს გულს ნათელი არ მიჰკარებია. შიბრძანებდნენ, ვომობდი, ვასრულებდი სხვის ბრძანებას.

სულ სხვა იყო, როცა სპარსეთიდან ქუთაისს ჩამოველ ცრემლებს ვერ ვიკავებდი სიხარულისგან. ექვსი წლის ტანჯვა და ეს ბედნიერება, რომ შემიჩემს სამშობლოში ვემსახურებო საქართველოში, რომელშიაც ათასი ტანჯვა, ტყვეობა და სიკვდილი ვაღვიარე. სიამოვნებით ვასრულებდი ჩემს ვალდებულებას ატყდა ჩვენს პოლკში ქუთაისში ბოლშევიკობა. მე მაშინვე ჩავეწიე ქ. ქუთაისში ეროვნულ გვარდიაში. ვაწყნარებდით გამაგებულ ბროსს. მე კიდევ თათრის ასპარეზიდან ვიცოდა რა მშვენიერებას გვიზადებდნენ სოციალისტები. ექიმმა ქართველმა ამხანაგ ყოველივე და ბრძამდ არ დაგდიოდი ამ წუთი-სოფელს. ხელობით დურგალი ვიყავი დღიური შრომით ვცხოვრობდი ჩემს პატარა ადგილს რაქაში ერთი კურდღელიც ვადაახტება, ხოლო სოციალისტების არც ადვილი მინდოდა და არც მათი წესები. მე თვით ვიშოვი ლუკვა პურს, თუ საქართველო მართლაც იქმნა თავისუფალი ქვეყანა. ეროვნული გვარდიაში ვებრძოდით უსინდისობას, რომელსაც, სხვა სოციალისტებიც, რომელნიც არ იყვნენ ბოლშევიკები ვიყავი ბათუმის ოქში ვიყავი ოსების ამბოხების ჩასაქრბ რაზმში სომხებთან ომში. ომ ჩემი ხელობად ვადიქცა კინადამ.

კამოშიწვიეს უკანასკნელადც და გამგზავნეს აქარაში, სადაც ვმსახურებ მე 15-ე ათასეულში. ბოლოში, რომ გამცემლებმა გვილალოტეს—ჩვენი ნაწილი მათ ადგილზე გავგზავნეს.

რომ გამომიწვიეს, თუქა დედის ერთა ვარ სიტყვაც არ ამომიღია, წავედი ჯარში, გვარდიაში, ისე როგორიც ის არის ეხლა, არ ჩავეწიე, რადგან კარგად არ მიმანია, რომ ერთს ჯარის კაცს ჰქონდეს ყველაფერი თავსაყარი და ჯამაგირი, ხოლო მეორეს ნამდვილ ჯარს ლობიო და ქადი ენატრებოდეს.

რაჭიდან რომ მივიღოდი ვწუხდი ჩვენი ხნე-ჩვეულების დაცვაზე. არც ნათესავი გვინდა, არც ეკლესია არც პატიოსნებაო. ვწუხდი ამაზედ, რომ ხალხი თანდათან მხეცდებოდა და ჩვენ მშრომელ რაქაში, რადაც სიხარამაციის სული ტრიალებდა. ეხლა დავბრუნდი აქარიდან ორი კვირის ვადით. ხალხი მთლად შეცვლილა ეკლესიაში დადიან, მხურვალედ ლოცულობენ, კვირას უქმობენ, მირონს და ნათესაობას ინახვენ, ზრდილობას და პატიოსნებას იცავენ. ხალხი სულ შეცვლილა მეტსაც მუშაობენ ვიდრე უწინ, გამიხარდა. პირზედ ჯვარი გადავისახე—მორჯულდა ხალხი.

ბოლო როცა ჩემს სოფელში ჩავედი გული მეტკინა. ჩემი ადგილი არავის დაუმუშავებია, ჩემთვის არავის შემწეობა არ აღმოუჩენია, ხოლო ჩემნაირი გაჭირვებული ჩვენს სოფელში— მეორე არ მოიძებნება. მთავრობა კი გვითვლიდა ბრძოლის ველზე თქვენ მიწებს დაიმუშავებენ, ფულაც მოგეცემათ შემწეობაო. გავიგე, რომ ჯარის კაცებზე არავის უფრო არ გაუბერტყია, ბოლოს მითხრეს, რომ ორი კაცი დანიშნა მთავრობის კაცმა და უბრძანა გვარდიელების ადგილები დაიმუშავეთო.

მართლა ამბობენ ჩვენს პოლკში და აგინებენ მათ ვინც აგრეთ უსინდისოთ ცხოვრება გააძალოდეს!

თავმდები ბართლომე ონიაშვილი.



წესწობილება და საზოგადოებრივებანი.

1. საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო-რესპუბლიკა.
2. საქართველოს ტერიტორიას (მიწა-წყალს) შეადგენს:
 - I. ქართლი. II. კახეთი. III. იმერეთი. IV. სამცხე-საათაბაგო (მცხეთი) V. სამეგრელო. VI. გურია. VII. აფხაზეთი და VIII. სვანეთი.
- ამიერ-კავკასიაში, ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით ამ ტერიტორიის შეიცავს: თბილისის ყოფილი გუბერნია (ბაზუკით და ქვემო-ყარაიხით), ქუთაისის ყოფილი გუბერნია (დვალეთი), სოხუმის ოლქი (ჯიქეთით), ბათუმის ოლქი, ზაქათალისა, არტანუჯისა და ოლთისის ოლქები და ყაზახის მაზრა.
- ოსმალეთში საქართველოს ტერიტორია შეიცავს ლაზისტან-ქანეთს და ის პირს.
- უმალღესი საკანონმდებლო ძალა-უფლება ეკუთვნის ხალხის წარმომადგენელთა კრებას (პარლამენტს);
- პარლამენტს ირჩევენ სრულ წლოვანი, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული ხმის მიცემით განურჩევლად სქესისა.
- არჩევნების თავისუფლების დარღვევნი ისჯებიან სისხლის სამართლის წესით.
- უმალღესი აღმასრულებელი ძალა ეკუთვნის მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.
- რესპუბლიკის უზენაესი წარმომადგენელი უნდა იყოს პრეზიდენტი.
- სამაჰმადიანო საქართველოს, აფხაზეთს და ზაქათალის ოლქს (სარგალოს) აქვთ ავტონომია.
- მამაჰმადიანთა მოსახლეობისათვის სამართალი უნდა იქმნას მოწყობილი შარიათის წესით.
- ყველა ანაქართველ ტომთა კულტურულ-ქორონოლოგიული უფლებანი დაცულია კანონებით.
- საქართველოს ყოველი ქვეშევრდომი თანასწორია კანონის წინაშე.
- სეფლესელებს პიროვნებისა, ბინისა, სადგომისა და თავისუფლება სიტყვისა, წერისა, ბეჭდვისა, კავშირისა და მიმოსვლისა უნდა უზრუნველყოფილი იქმნას.
- სასამართლო მთავრობისაგან სრულიად დამოუკიდებელია.
- უმალღესი სასამართლო ძალა ეკუთვნის სენატს, რომელსაც აქვს უფლება ყოველი დაწესებულების რევიზიისა.
- არავინ არ შეიძლება დასჯილი იქნას ისე, თუ არა სასამართლოს წესით.
- საქართველოს ქვეშევრდომთა როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად, აქვთ უფლება მიმართონ ჰეტინით ან დასაჩუქრებლად მინისტრისა და მთავრობის უკანონო მოქმედების შესახებ, როგორც სენატს, ისე პარლამენტს.
- აფხაზთა, როგორც საფუძველი ერის გამრავლებისა, ორთავე სქესის თანასწორობით, იმყოფება სახელმწიფოს მთავრობის ქვეშ.
- მრავალ-შვილიანთა შიშხებ ზრუნვა შეადგენს სახელმწიფოს მოვალეობას.

II.

მიწის საკითხი და სოფლის მეურნეობა.

1. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ საქართველოს ყოველი ქვეშევრდომი უზრუნველყოფილი იქმნას სასა-კაროთ ადგილ-მამულითა და მეურნეობით.
- შენიშვნა: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოსათვის ომში მონაწილეთ.
2. უმაჰმადი და მცირე მამულიან გლეხებს სახელმწიფო აკმაყოფილებს მიწით იმ ფანდინს, რომელიც ან წინადაცა ხაზინის ხელოში, ან და რომელიც შესდგა ნორმაზე ზევით ჩამორთმეულ მიწებიდან.
3. სახელმწიფო აძლევს გლეხებს ამ მიწას სრულ საკუთრებად, შეღებოთიან პირობებში: გრძელ ვადიანი უსარგებლო სესხის სახით.
4. სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეულ კერძო მიწებში უნდა მიექცეს მეპატრონეთ სსსუადგა ხაზინიდან და ამით მათ ხელი უნდა აიღონ ჩამორთმეულ მიწების მფლობელობის ყოველნაირ უფლებებზე.
5. ტყის ავარაკები (დაჩები) და საზოგადო საძოვარ-საბაღარაკები (ალაღები) თუ შენაქენი არ ყოილა, ან და მახედ შრომა ან ტულო არ არის დახარჯული, უსასუადგად უნდა იქნას ჩამორთმეული.
6. მიწების იძულებითი ჩამორთმევის დროს დაწესებული ნაწილი უნდა შეიარღვეული იქმნას მამულის სამეურნეო მდგომარეობასა და ოკაპის წევრთა (განურჩევლად სქესისა) რაოდენობასთან.
7. სახლ-კარი, ვენახი, ბაღი, ბოსტანი, წისქვილი და საზოგადოთ კულტურული მამული მეპატრონეს არ უნდა ჩამოერთვას.
8. სახელმწიფო ტყეებიდან სოფლის მცხოვრებთ ხე-ტყის მასალა წინაურ საქიროებისათვის უფასოდ უნდა მიექცეთ.
9. საგოგნო და სხვა საადგილ-მამული ბანკების საშუალებით სოფლის ამაღობათა მიერ შექმნილი მიწა მათვე უნდა დარჩეს.
10. სახელმწიფო საფონდო მიწები ყოველს ალავას პირველად ადგილობრივი, შვედრა მცხოვრებნი უნდა იქმნან დაკმაყოფილებულნი.
11. დასახლებისათვის (კლდანიზაციისთვის) უნდა იქმნას გამოყენებული განაპირა მხრებას, სახელმწიფო საზღვართან მდებარე საფონდო მიწები, იმდაგვართ, რომ სახელმწიფოს თავდაცვა უზრუნველყოფილი იქმნას.
12. ყოველნაირი სახეობის აგრარულ რეფორმისთან დაკავშირებულ საქმეებზე (ნორმის განსაზღვრა და სხვ.) უნდა გარჩიულ იქმნას სასამართლოში, ხოლო თუ საჩივარი მინისტრის განკარგულებას შეეხება, — სენატში.
13. მიწის ჩამორთმევის დასრულების შემდეგ უფლა-გაყიდვა მიწის უნდა იყოს თავისუფალი, შეუზღუდველი.
- კერძო საკუთრება მიწაზე და მისი შემკვიდრებით გადასვლა უნდა უზრუნველყოფილი იქმნას ძირითადი კანონით.
14. იმ გლეხებს, რომელთაც მიწის დასამუშავებლად საჭირო საწიფურნეო იარაღი და საქონელი არ მოეპოვებათ, სახელმწიფომ სათანადო საშუალება უნდა მისცეს გრძელ-ვადიანი სესხის სახით.

15. სახელმწიფო ამ საშუალებით დახმარება უნდა აღმოუჩინოს სოფლებს: უვარგისი ადგილების დამუშავებისა, კანონების დარღობის, სარწყავ არხების და გზების გაყვანისათვის.

16. სასოფლო სამეურნეო კულტურის განვითარებისათვის საქართველოს ყოველ კუთხეში უნდა მოეწყოს სასოფლო სამეურნეო — უფასო სკოლები საცდელი და საჩვენებელი მიწებზე, საწიფურნეო და სხვ.

17. მთავრობა და პარლამენტი უნდა განსაკუთრებულ ყურადღებას და მთავრობობას უწევდეს სოფლის მეურნეობას.

სოფლის ნაწარმები (ღვინო, მატყლი, თამბაქო, აბრეშუმი, ხილი და სხვ.) უნდა დაცულ იქნას სასაყო კანონებით უცხო ქვეყნების კონკურენციიდან.

სოფლის მეურნეთა ინტერესების დაცვა ეკისრება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მინისტრს.

III

სამხედრო საქმე

1. სახელმწიფო დასაცავად უნდა იქმნას მოწყობილი საქაო რეკრუციონი ერთი მთლიანი სამხედრო ძალა რეგულიარული ჯარა.

2. ყველა არსებული დანარჩენი შეიარაღებული ნაწილები უნდა გაერთიანდეს ჯართან.

3. შეიარაღებულ ძალების გაერთიანებამდის ყველა არსებულ სამხედრო ნაწილებში სამსახურის პირადება (უკუფა, ჯამაგირი, პენსია და სხვ.) უნდა იყოს ერთნაირი.

IV

სარწმუნოება და ეკლესია

1. სახელმწიფო და ეკლესია დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისაგან.

2. ყველას აქვს სარწმუნოების, სინდისის სრული თავისუფლება.

3. სარწმუნოებრივი წესების და უბრკოლებლივი შესრულება უზრუნველყოფილია კონსტიტუციით.

4. ყოველ სარწმუნოების მიმდევართ აქვთ უფლება სარწმუნოებრივ საზოგადოებათა დაარსებისა და მათი შეკავშირებისა.

5. სარწმუნოებრივ საზოგადოებებს აქვთ აუტონომიური პირის უფლება.

სარწმუნოებრივ საზოგადოებათა კავშირი ითვლება საზოგადოებრივ კორპორაციას; მას უფლება აქვს გადასახადს აღებისა.

6. სარწმუნოებრივ კავშირთა და საზოგადოებათა საკუთრება და ქონება ელუზილებელია.

7. უქმე-დეკეტი, პროტესტანტიზმი, ტინთათვის კვირა, მამულის რეკრუციონი და სხვ. კანონით დაცული უნდა იქმნენ.

8. ჯარში და სარტოდ სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურში მყოფთ უნდა ჰქონდეთ საშუალება სარწმუნოებრივ მოვალეობათა შესრულებისა.

9. სკოლებში საშუალო სწავლება უნდა იქმნას უზრუნველყოფილი ყველა სარწმუნოების აღმსარებელთათვის.

V

ფინანსები, მრეწველობა და შრომა

1. არც ერთი გადასახადი (სახელმწიფო, საერო ან საქალაქო) არ შეიძლება აკრეფილი იქმნას, თუ იგი არ არის დამტკიცებული პარლამენტის მიერ.

2. ქალაქის ბონების მაგიერ უნდა გამოშვებულ იქმნას ქართული ფული, უზრუნველყოფილი გეროპიული წესით.

3. არა პირდაპირი გადასახადები პროცენტული საჭიროების საგნებზე უნდა თანდათან გაუქმდეს.

პირდაპირი გადასახადები უნდა ემყარებოდეს შემოსავლის კვლობაზე გადასახადს.

შენიშვნა: მცირე შემოსავალი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს გადასახადისაგან.

4. სახელმწიფო სათანადოდ ხელს უნდა უწყობდეს საქართველოს შინამრეწველობას, მრეწველობას და აღდგომი ცემობას, რათა ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო საქონელი საქართველოში შეადგებოდეს და ჩვეულობრივ ფასებში წვდებოდეს ხალხს.

5. სახელმწიფო უნდა ხელს უწყობდეს კომერციას.

6. არავითარი რეკვიზიციას, ან კონფისკაცია კერძო ქონებისა არ შეიძლება და შეეუო იქნას, თუ იგი სახელმწიფოსათვის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს და პარლამენტის მიერ არ არის დაკანონებული.

არც მთავრობას, არც ქილოქებს, არც ეროვნებს რეკვიზიციის უფლება არ უნდა ჰქონდეს.

7. მუშა მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესება და მუშათა კლასის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს.

8. საშუალო დღის მინიმუმის განსაზღვრა უნდა შეფარდებული იქმნას სოფლისა და ქალაქის მეურნეობის საფონდო შიშხის პირობებთან, რათა საქართველოს საწარმოო ძალების განვითარება არ შეეფერდეს.

9. სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მოხელენი, მოსამსახრენი და მუშები უნდა უზრუნველყოფილი იქნან პენსიით და დაზღვევით.

მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებულია, 19 VI. 1920 წ.

გლეხთა საპუბლიკო დამტკიცებული კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩინოს სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო-სასოფლო-საქაროობათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეებს) თხოვნე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიერ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა სახალა მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამუქნი. კრების ქ. № 5